ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4258910

ნომერი: AR1634328

თარიღი : 02.10.2018

გაცემის თარიღი : 12.11.2018

გაცნობის თარიღი : 12.11.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, საირმის ქუჩა, N 35;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ თხელიძე პ/ნ 01005008943
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 53ა ბ. 29

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც

გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან +35,85 ნიშნულზე ჩატარებული დარღვეული სამუშაოების შედეგად წარმოდგენილი ნახაზების მიხედვით ხდება კოეფიციენტის მატება და ამავდროულად დადგენილი კოეფიციენტის გადაჭარბებასც, შესაბამისად ვერ მოხდება დარღვეული მშენებლობის დადასტურება მისი ქალაქმშენებლობით პარამეტრებთან და ნორმებთან შეუსაბამობის გამო. შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი განაცხადი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე.

ასევე რეკომენდაციის სახით გაითვალისწინეთ, რომ შშმ პანდუსი უნდა მოეწყოს 6 % იანი შეთანხმებული პროექტის შესაბამისად, ასევე პარკინგი N9 ვერ მოეწყობა წარმოდგენილი სახით ვინაიდან იზღუდება თავისუფალი მოძრაობა შესაბამისად უარესდება პარკინგების რაოდენობა რაც დაუშვებელია. ასევე არ მოხდა გამწვანების/კეთილმოწყობის ნახაზების წარმოდგენა, საჭიროა აგრეგატების მოწყობა პროექტის შესაბამისად. სამსახურის მხრიდან მოთხოვნილი იყოს კონსტრუქციული დასკვნა დარღვევით ნაწარმოები მშენებლობაზე, თუმცა თქვენი მხრიდან მოხდა არასწორი დოკუმენტაციისა და განმარტების გაკეთება რაც მიუღებელია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.